



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №45/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 13 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 18 ივლისის №45/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლე -- --) წარმოებაში იმყოფებოდა -- -- მიმართ სს საქმე. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილ საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. -- -- მიმართ სს საქმე, -- საქალაქო სასამართლოში განხილულია მოსამართლე -- -- მიერ. საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შედეგად კი, საქმე განსახილველად დაეწერა მოსამართლე -- --. მომჩივანი აღნიშნავს, რომ მოსამართლეებს: -- -- და -- -- ერთმანეთთან აკავშირებთ ახლო მეგობრული ურთიერთობა. მისივე განმარტებით, წარსულში მოსამართლე -- -- იყო მოსამართლე -- -- თანაშემწე. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოსამართლის აცილების საპროცესო საფუძველს, თუმცა მიუხედავად ამისა, მოსამართლემ საქმეზე თვითაცილება არ განაცხადა, ხოლო მისი აცილების თაობაზე შუამდგომლობა, უსაფუძველოდ არ დააკმაყოფილა.

1.2. -- სააპელაციო სასამართლომ (მოსამართლე -- --) -- -- მიმართ სს საქმის განხილვისას დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-5-მე-6 ნაწილებით დადგენილი საპროცესო ვადები.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2018 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით -- -- ცნობილია დამნაშავედ:

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, -- -- საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2017 წლის 6 თებერვლიდან.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2018 წლის 08 მაისის განჩინებით, დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობა, სააპელაციო საჩივრის გახმობის თაობაზე, რის საფუძველზეც, საქმეზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნა განუხილველად.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე ფაქტობრივ გარემოებებს და დადგინდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. -- -- მიმართ სს საქმის სააპელაციო წარმოების ეტაპზე, 2018 წლის 12 იანვრის სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოსამართლე -- -- აცილების თაობაზე. შუამდგომლობაში დაცვის მხარე უთითებდა შემდეგ

ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, მოცემული სს საქმის პირველი ინსტანციის წესით განმხილველი მოსამართლის -- --, წარსულში მოსამართლე ---- თანაშემწეობის ფაქტზე. აღნიშნული მისი მოსაზრებით ექვს ქვეშ აყენებდა მოსამართლე -- -- ობიექტურობას. სასამართლოს შეკითხვაზე, გარდა თანაშემწეობის ფაქტისა, ხომ არ ჰქონდა მხარეს სხვა ინფორმაცია მისი და მოსამართლე -- -- შორის ისეთი ურთიერთობის შესახებ, რაც განაპირობებდა მის შესაძლო არაობიექტურობას საქმეზე, მხარემ განაცხადა, რომ გარდა თანაშემწეობის პერიოდში წარმოშობილი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისა, მას სხვა ინფორმაცია არ გააჩნდა, თუმცა, აღნიშნულიც საკმარის საფუძველად მიაჩნდა მოსამართლის აცილებისთვის.

სასამართლომ წარმოდგენილი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა უსაფუძველობის გამო და განმარტა, რომ მხარემ, გარდა მოსამართლე -- -- წარსულში მისი თანაშემწეობის ფაქტისა, ვერ წარმოადგინა არგუმენტაცია ისეთი ურთიერთობის თაობაზე, რაც საექვოს გახდიდა მის ობიექტურობას კონკრეტულ საქმეზე. მოსამართლემ ასევე აღნიშნა, რომ იგი, მოსამართლე -- -- მონაწილეობით განიხილავს არაერთ სს საქმეს. აღნიშნულ საქმეებზე განაჩენები კი გამოტანილია მხოლოდ სს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე და მასზე ზეგავლენას ვერ ახდენს წარსულში მასთან მოსამართლე -- -- თანაშემწეობის ფაქტორი.

წარმოდგენილ ფაქტთან დაკავშირებით, მომჩივანი სადაოდ ხდის მოსამართლე ---- მიკერძოებას. მომჩივანი აღნიშნავს, რომ მოსამართლეებს: -- -- და -- -- ერთმანეთთან აკავშირებთ ახლო მეგობრული ურთიერთობა. ამასთან, წარსულში მოსამართლე -- -- იყო მოსამართლე -- -- თანაშემწე. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოსამართლის აცილების საფუძველს, თუმცა მიუხედავად ამისა, მოსამართლემ საქმეზე თვითაცილება არ განაცხადა, ხოლო მისი აცილების თაობაზე შუამდგომლობა, უსაფუძველოდ არ დაკმაყოფილდა.

წარმოდგენილ პრეტენზიაზე მსჯელობისათვის, მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე ყურადღება გამახვილდეს ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ საკითხებზე:

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას – აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 3.1. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო. ამასთან, 3.2. პუნქტის მიხედვით, მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა

განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან, ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა, სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria; Wettstein v. Switzerland*). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის (ობიექტური ტესტი) მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისითაც, ე.ი. ის უნდა თავაზობდეს საზოგადოებას საკმარის გარანტიებს, რათა გამოირიცხოს ლეგიტიმური ეჭვი ამ კუთხით (*Pullar v. the United Kingdom*).

ობიექტურობის შეფასებისთვის, კერძოდ, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება სადად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი¹. მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეზური გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას.

მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მიკერძოების არსებობის შესახებ ვარაუდი დასაბუთებული უნდა იყოს.

განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიკერძოების არგუმენტად წარმოდგენილია მოსამართლე -- -- (სს საქმის სააპელაციო ინსტანციით განმხილველი მოსამართლე), წარსულში მოსამართლე -- -- (სს საქმის პირველი ინსტანციით განმხილველი მოსამართლე) თანაშემწეობის ფაქტი. აღნიშნული კი,

¹ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ე.წ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ოფიციალური კომენტარები.

მითითებულ პირებს შორის მხოლოდ კოლეგიალურ ურთიერთობაზე მეტყველებს და უტყუარად არ იძლევა იმ დასკვნის შესაძლებლობას, რომ მათ შორის პარალელურად ჩამოყალიბებული იყო იმ ტიპის ურთიერთობა, რაც მიკერძოებაზე მიუთითებდა.

გარდა კეთილგანწყობილი კოლეგიალური სახის დამოკიდებულებისა, დაცვის მხარეს სხვა დასაბუთებულ არგუმენტაციაზე/მტკიცებულებაზე არ საუბრობს. სხვაგვარ ახლო ურთიერთობას არ ადასტურებს არც მოსამართლე, სს საქმეზე აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული განჩინების განმარტებისას.

წარმოდგენილი მოცემულობა კი, გარეშე დამკვირვებლისთვის „მომეტებული ალბათობის“ ხარისხით არ იძლევა იმ დასკვნის შესაძლებლობას, რომ სადაო ფაქტს შესაძლოა შედეგად გამოეწვია საქმეზე არაობიექტური სასამართლო გადაწყვეტილების მიღება. დაცვის მხარის მოსაზრება ამ კუთხით არ იწვევს „საფუძვლიანი ეჭვს“ მოსამართლე -- -- მიკერძოებულობაზე.

3.2. საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში.

მომჩივანი წარმოდგენილ საჩივარში, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან, საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-5-მე-6 ნაწილებით დადგენილი საპროცესო ვადების დარღვევაზე მიუთითებს.

საქმის მასალების თანახმად, -- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 16 დეკემბრის განჩინებით, დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად და ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 12 იანვარს. შესაბამისად, ამ ნაწილში საქმეზე დაცულია საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი, 1 თვიანი საპროცესო ვადა.

რაც შეეხება საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადას (საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-6 ნაწილი), აღსანიშნავია, რომ სასამართლომ საქმის განხილვა დაასრულა 2018 წლის 08 მაისს, სააპელაციო საჩივრების დასაშვებად ცნობიდან 4 თვესა და 22 დღეში (ნაცვლად 2 თვისა), რაც საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევის შემთხვევაზე მიუთითებს.

დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის, საპროცესო ვადის დარღვევის ფაქტი, მნიშვნელოვანია შეფასდეს იმ კუთხით თუ რამდენადაა საქმე გაჭიანურებული უსაფუძვლოდ და აღნიშნულთან იკვეთება თუ არა მოსამართლის პერსონალური ბრალეულობა. მოცემულზე მსჯელობისათვის, მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany; Kart v. Turkey*).

კონვენციის განმარტების ფარგლებში, დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა განისაზღვრება შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: 1) საქმის სირთულით, როგორც საქმის ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი კუთხით (*Katte Klitsche de la Grande v. Italy; Papachelas v. Greece*); მტკიცებულებების გამოკვლევის მოცულობით (*Human v. Poland*) და ა.შ. 2) მხარეთა მოქმედებებით, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (*König v. Germany*), შუამდგომლობებით, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (*Acquaviva v. France*), ასევე სხვა მოქმედებებით, რაც იწვევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებებით. აღნიშნულს ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა/ჩაუტარებლობის მიმართებით (*Pafitis and others v. Greece; Tiece v. San Marino; Sürmeli v. Germany*).

განსახილველ საქმესთან მიმართებით, შეფასების ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საგულისხმოა შემდეგი გარემოებები: საქმის სააპელაციო წარმოების პერიოდში (4 თვე და 22 დღე) საქმეზე დანიშნულია 6 სასამართლო სხდომა (12.01.18; 16.02.18; 02.03.18; 03.04.18; 16.04.18; 08.05.18). სადაო პერიოდში კი, მოსამართლის საქმეთა დატვირთვა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: 2017 წლის პერიოდში მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 183 საქმე, საიდანაც განიხილა 92 საქმე; 2018 წლის იანვრიდან-სექტემბრამდე 153 საქმე, საიდანაც განიხილა 120 საქმე. აღსანიშნავია, რომ არსებული დატვირთვის პირობებში, სასამართლოს მხრიდან ყველა საქმეზე საპროცესო ვადების დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამდენად, მოსამართლის საქმეთა დატვირთვის, საქმეზე განხორციელებულ საპროცესო მოქმედებათა და დარღვეული საპროცესო ვადის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, არ

დასტურდება მოსამართლის მხრიდან განზრახ, უსაფუძვლოდ საპროცესო ვადის დარღვევის შემთხვევა, რაც დისციპლინურ გადაცდომაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის აუცილებელი წინაპირობაა.

ამასთან, მიზანშეწონილია დამატებით აღინიშნოს იმ გარემოებაზეც, რომ საქმეზე დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაწესებული საქმის განხილვის გონივრული ვადის სტანდარტიც, საქმეზე განხორციელებული საპროცესო მოქმედებების, სასამართლოსა და მხარეთა ინიციატივების გათვალისწინებით².

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

² Ciricosta and Viola v. Italy; Katte Klitsche de la Grande v. Italy; Papachelas v. Greece; Human v. Poland; König v. Germany; Pafitis and others v. Greece; Tiece v. San Marino; Sürmeli v. Germany;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №45/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი